

**COPTIC TEXT OF SAINT MARK THE EVANGELIST'S LITURGY AND ITS
COMPARATION WITH OTHER TRANSLATIONS**

წმიდა მარკოზ მახარებლის ლიტურგიის კოპტური ტექსტის ვითარება და მისი
შედარება სხვაენოვან თარგმანებთან

Marika Tchitanava-Lobzhanidze

PhD student of Byzantine Philology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Ilia Tchavtchavadze Avenue № 1, Georgia,
+995593215519, chitanavam@yahoo.com
<https://orcid.org/0009-0008-6139-2913>

Abstracts. The liturgy of St. Mark the Evangelist, or, as it is called in another way, the liturgy of St. Cyril of Alexandria, is one of the three church services that are still used in the Coptic Church today. It originated in the early period of Christianity in Egypt.

In the Byzantine traditional version, the mentioned ceremony is famous as the liturgy of St. Mark the Evangelist, which in terms of execution has not lost its relevance in the Orthodox Patriarchates, and as the ancient and local traditional divine service of Eastern Christianity is celebrated on the day of commemoration of the apostle, on April 25/May 8. The liturgical practice that was developed and spread in the northern region of Africa is known as the Alexandrian tradition, and the texts used for the Eucharist belong to the liturgy of St. Mark.

In the early centuries, so-called Western Christianity's Lingua Franca was ancient Greek; that's why the evangelist created the liturgy of St. Mark in this language. It was translated into Coptic for the local population by Saint Cyril of Alexandria in the first half of the fifth century. Thus, it can be said that the Greek version of the mentioned liturgy was called St. Mark's, and its Coptic translation is St. Cyril's Liturgy, despite the fact that the full name of the latter is "The Liturgy of our Holy Father Mark the Apostle, which was established by St. Cyril the High Priest Thrice Blessed".

It should be emphasized that the brevity and specificity of the Alexandrian liturgy led to its wide spread beyond the borders of Egypt and the translation of the liturgical text composed in ancient Greek into many languages. Our goal, for the first time in Georgia, is to introduce and popularize as Mark the Evangelist's liturgy and his translations, as Coptic language and culture to the public, which interested in liturgy and theology in general.

Key words: Mark; the Evangelist; Liturgy; Coptic; Cyril; Alexandria; manuscripts

მარია ჭითანავა-ლოზჟანიძე

ბიზანტიური ფილოლოგიის დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, საქართველო,
+995593215519, chitanavam@yahoo.com
<https://orcid.org/0009-0008-6139-2913>

აბსტრაქტი. წმიდა მარკოზ მახარებლის ჟამისწირვა, ანუ როგორც მას მეორენაირად უწოდებენ, წმიდა კირილე ალექსანდრიელის ლიტურგია სამი აკოლუთიათაგან ერთ-ერთია, რომელიც დღესაც აღესრულება კოპტურ ეკლესიაში. იგი წარმოიშვა ეგვიპტეში ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ პერიოდში.

ბიზანტიურ ტრადიციულ ვერსიაში აღნიშნული მსახურება ცნობილია წმიდა მარკოზ მახარებლის ლიტურგიის სახელით, რომელიც აღსრულების თვალსაზრისით დღემდე არ კარგავს აქტუალობას მართლმადიდებლურ საპატრიარქოებში და აღმოსავლეთ საქრისტიანოს უძველეს და ადგილობრივ ტრადიციულ ღმრთისმსახურებას ადავლენს მოციქულის ხსენების დღეს, ძველი სტილით 25 აპრილს, ხოლო ახალი სტილით 8 მაისს. ლიტურგიკული პრაქტიკა, რომელიც ჩამოყალიბდა და გავრცელდა აფრიკის ჩრდილოეთ რეგიონში, ცნობილია როგორც ალექსანდრიული ტრადიცია, ხოლო ის ტექსტები, რომლებიც ევქარისტის აღსავლენად გამოიყენებოდა, მიეკუთვნება წმიდა მარკოზის ლიტურგიას.

ადრეულ საუკუნეებში დასავლეთ საქრისტიანოს ე.წ. *lingua franca* იყო კონე ბერძნული, ამიტომაც წმიდა მარკოზის ჟამისწირვაც მახარებელმა ამ ენაზე შექმნა. ადგილობრივი მოსახლეობისთვის იგი კოპტურად თარგმნა წმიდა კირილე ალექსანდრიელმა მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ლიტურგიის ბერძნულ ვერსიას დაერქვა წმიდა მარკოზის, ხოლო მის კოპტურ თარგმანს – წმიდა კირილეს ლიტურგია, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის სრული სახელწოდებაა „ჟამისწირვა წმიდისა მამისა ჩუენისა მარკოზ მოციქულისა, რომელი დაადგინა წმიდამან კირილე მღვდელთმთავარმან სამგზის კურთხეულმან“.

ხაზგასასმელია, რომ ალექსანდრიული ღმრთისმსახურების ლაკონურობამ და სპეციფიკურობამ განაპირობა მისი ფართოდ გავრცელება ეგვიპტის საზღვრებს გარეთ და ძველბერძნულად შედგენილი ლიტურგიკული ტექსტის მრავალ ენაზე თარგმნა. ჩვენი მიზანია, პირველად საქართველოში ლიტურგიკითა, და ზოგადად, ღმრთისმეტყველებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის როგორც მარკოზ მახარებლის ჟამისწირვისა და მისი თარგმანების, ისე კოპტური ენისა და კულტურის გაცნობა და პოპულარიზაცია.

საკვანძო სიტყვები: მარკოზი; მახარებელი; ლიტურგია; კოპტური; კირილე; ალექსანდრია; ხელნაწერები.

შესავალი. მარკოზ მახარებლის ჟამისწირვა ითვლება აღმოსავლეთის საეკლესიო მსახურების კლასიკურ ნიმუშად. თავდაპირველად იგი, სხვა მოციქულების ლიტურგიების მსგავსად (წმ. იაკობის, პეტრეს ჟამისწირვები), განკაცებული ძე-ღმერთის მიერ აღსრულებული საიდუმლო სერობის ანალოგი იყო (მთ. 2:26-28; მკ. 14:22-24; ლკ. 22:19-20; ინ. 13:1-27; 1 კორ. 11:23-25), რომლის დროსაც წარმოჩინდა ევქარისტის სამი

მთავარი - რიტუალური (პურის განტეხა), მისტიური (პურისა და ღვინის მაცხოვრის წმიდა ხორცად და სისხლად გარდაქცევის უფლის მოსახსენებლად აღსრულება) და განმარტებითი (კაცობრიობის გამოხსნა საღმრთო განგებულებით) აქტი (Guirguis, 2002).

მოგვიანებით სხვადასხვა ეკლესიის მღვდელმთავრები საჭიროებისამებრ ავრცობდნენ წირვის სტრუქტურას, ძირითადად კვერექსებითა და იერარქის საიდუმლოდ წარმოსათქმელი ლოცვებით. ამ მხრივ მარკოზის მსახურება თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც რამდენადმე წმიდა კირილე ალექსანდრიელის დამატებების შემცველია და ამ უკანასკნელის სახელითაცაა ცნობილი, განსაკუთრებით კოპტურ სივრცეში.

წინამდებარე ნაშრომში, პირველ ყოვლისა, შევუდგებით ხსენებული ჟამისწირვის კოპტური ტექსტის ვითარების აღწერას, პარალელურად მიმოვიხილავთ მახარებლის ლიტურგიის ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ, ლათინურ და არაბულ ენებზე შესრულებულ ხელნაწერებსა და კრიტიკულ გამოცემებს, ასევე იმ პუბლიკაციებს, რომლებიც აღნიშნულ თემატიკაზე არსებული ლიტურატივის კვლევის ისტორიას ეხება.

ხაზგასასმელია, რომ მარკოზ მოციქულის ლიტურგიის ზემოთ ჩამოთვლილ ენებზე არსებული ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტების კლასიფიკაცია XIX-XX საუკუნეების მეორე ნახევრიდან გახდა აქტუალური. როგორც ცალკეული ფრაგმენტების, ისე მთელი რიგი კოლექციების შესწავლა-აღწერისა და გამოცემის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით მეცნიერებს: ფ.ე. ბრაითმენს (Brightman, 1896), ჰ. ბრაკმანს (Brakmann, 1981), ი.მ. ფუნდულისს (Φουντουλίδης, 1970), მ. ჟელტოვს (2014), ჰ. ტაკლას (Takla, 2014) და სხვებს.

აქვე უნდა დავასახელოთ ის ძირითადი კოდექსები, სადაც დაცულია მახარებლის/წმ. კირილეს ჟამისწირვის შემცველი ხელნაწერები და მათი ბეჭდური ეგზემპლარები:

1. Codex Rossanensis, ვატიკანის ბიბლიოთეკა, ბერძ. 1970, XII ს.;
2. Rotulus Vaticanus, ვატიკანის ბიბლიოთეკა, ბერძ. 2281, 1207 წ.;
3. Rotulus Messanensis, მესინა, ბერძ. 177, XII ს.;
4. Renaudot, Parisiis, 1716; ამ უკანასკნელში წარმოდგენილია ზემოთ მოხმობილი

სამივე ტექსტის სინთეზი ლათინურ და ბერძნულ ენებზე.

საგულისხმოა, რომ ალექსანდრიული ლიტურგიის ხელნაწერებისა და დაცული კოლექციების რაოდენობა ამით არ შემოიფარგლება. უფრო ვრცლად მათ შესახებ მსჯელობისა და დასკვნების პარაგრაფში შევეცდებით.

ჩვენი სტატიის მიზანიც მთელ ამ მონაცემთა კომპლექსურ გაცნობას ემსახურება ქართული საეკლესიო თუ სამეცნიერო წრისათვის, რომელიც, როგორც მარკოზ მახარებლის ლიტურგიისა და მისი ტექსტის სხვადასხვა ენოვანი თარგმანების, ისე, ზოგადად კოპტური ქრისტიანული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, რაც მოცემულ კვლევას მნიშვნელოვანს და ინოვაციურს გახდის.

მეთოდები. წინამდებარე კვლევის ფარგლებში თავდაპირველად მოვიძიეთ წმიდა მარკოზ მახარებლის ლიტურგიის ძველბერძნული ხელნაწერები, მათი ელექტრონული რეპროდუქციები და გამოცემული კრიტიკული ტექსტები, ვინაიდან სწორედ ამ ენაზე შეუდგინა საღმრთისმსახურო წეს-განგება ალექსანდრიის ეპისკოპოსად ხელთდასხმულმა მოციქულმა თავისი ეპარქიის მოსახლეობას. მსგავსადვე ვისარგებლეთ ლათინურ და არაბულ ენებზე შესრულებული მახარებლის ლიტურგიის შემცველი მანუსკრიპტების მოპოვების შემთხვევაშიც. რაც შეეხება მარკოზის ჟამისწირვის კოპტურ თარგმანს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულის სემესტრში დისტანციური რეჟიმით შევისწავლეთ ლოს-ანჯელესის წმიდა ათანასესა და კირილეს სახელობის კოპტურ კოლეჯში ბოჰაირული დიალექტის გრამატიკა, სტილისტიკა, თარგმანის ტექნიკა. გამოვიმუშავეთ კოპტურ ლიტურგიკულ ხელნაწერებზე მუშაობის უნარ-ჩვევები და შევძელით ხსენებულ დიალექტზე შესრულებული ტექსტების შესწავლა. საბოლოოდ,

მახარებლის ლიტურგიის ძველბერძნული, ლათინური, არაბული და კოპტური თარგმანების კვალობაზე გამოვიყენეთ დაკვირვების, აღწერისა და შედარების მეთოდები.

მსჯელობა და შედეგები. მარკოზ მოციქულის კოპტური ჟამისწირვის, იგივე წმიდა კირილე ალექსანდრიელის ლიტურგიის თანამედროვე დადგენილი სრული წეს-განგება შედგება შემდეგი პასაჟებისაგან: ლოცვა ერთობისათვის, შეწირვა, კურთხევა, ლოცვები მშვიდობისათვის, მეფისათვის, პატრიარქისთვის, ეპისკოპოსებისათვის, მღვდლებისათვის, იმ ტერიტორიული ერთეულისათვის, სადაც ღმრთისმსახურება აღევლინება; ამას გარდა, ლოცვები ტაძარში შეკრებილ მორწმუნეთათვის, პირად მოსახსენებელში შემოვედრებულთათვის, მსახურთათვის, სამღვდელოებისთვის; ასევე სავედრებლები წყლების, მცენარეთა და ჰაერის კეთილშეზავებისა და ნაყოფის უზვად გამოღებისათვის; წმინდანთა მოხსენიება, დიპტიქი, პურის განტეხა, საუფლო ლოცვა, კლირიკოსთა მოხმობა ზიარებისთვის, 150-ე ფსალმუნი (saintmark.com).

წმიდა კირილეს ლიტურგიის სრული ტიპიკონის ადრეულ მანუსკრიპტთაგან ყველაზე უძველესი XII საუკუნით თარიღდება და შესრულებულია კოპტური ენის ბოჰაირულ დიალექტზე. ამ ხელნაწერებში შეინიშნება რამდენიმე დამატება, წმიდა მარკოზის ლიტურგიის ბერძნულ ტექსტისაგან განსხვავებით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, თუმცა ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ეს საკითხავები ბევრად ახლოსაა I ათასწლეულის დასაწყისის ფრაგმენტებთან, ვიდრე ჟამისწირვის ბერძნულ ვერსიასთან.

აღსანიშნავია ჩვენამდე მოღწეული ალექსანდრიული ღმრთისმსახურების კოპტური ტექსტის ცალკეული ე.წ. ფოლიოები (გვერდები), კერძოდ:

1. ბრიტანეთის მუზეუმის პაპირუსი, რომელშიც მოცემულია VIII საუკუნის სულიწმიდის მოხმობის კოპტური ტექსტი.

2. რამდენიმე კოპტური ფრაგმენტი, რომლებიც შესრულებულია საჰიდურ დიალექტზე.

საგულისხმოა, რომ წმიდათა – მარკოზისა და კირილეს ლიტურგიების უძველესი ხელნაწერი სრულყოფილი სახით თარიღდება ადრეული შუა საუკუნეებით. მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მეცამეტე საუკუნემდე ორივე ვერსია პარალელურად ვითარდებოდა და განივრცებოდა სხვადასხვა ჩანართებითა და ლოცვების დამატებებით.

მახარებლის ლიტურგიის ყველაზე სრულყოფილ ვერსიად ითვლება წმიდა ნექტარიოს პენტაპოლელის მიერ გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც მეოცე საუკუნის მიწურულს ინგლისურად თარგმნა მანჰეტენის ეპარქიის ეპისკოპოსმა იერონიმემ (შო) 1997 წელს და ათი წლის შემდეგ პირველად აღასრულა კიდეც ჯორდანვილში. 2007 წლიდან სრულიად რუსეთის იმჟამინდელ პატრიარქის ალექსი II-ის ლოცვა-კურთხევით, სპეციალური კომისია შედგა ლიტურგიის შესწავლისა და რედაქტირებისათვის და დაწესდა კიდეც მისი მსახურება მარკოზ მახარებლის ხსენების დღეს 25 აპრილს (ახ. სტ. 8 მაისს).

ნექტარიოსის მიერ გადაწერილი ხელნაწერის შესწავლის შედეგად შეგვიძლია მსახურება დავყოთ რამდენიმე ლიტურგიკულ ერთეულად, რომელსაც შემაჯამებლად წარმოვადგინოთ: იერარქის მიერ სამგზის ერის კურთხევა, დიაკონის ლოცვა მეფისა და ალექსანდრიის პაპისთვის, პროსკომიდია ანუ კვეთა, ანტიფონები, საგალობელი „მხოლოდშობილო“, საკმევლისა და სახარებით შესვლის ლოცვა, „სამწმიდაო“, წმინდა წერილის კითხვა, მრჩობლი კვერქსი, სახარების შემდგომი ქადაგება, კათაკმეველთა კვერქსი და მათი დათხოვნა, 122-ე ფსალმუნი, „რომელნი ქერუბიმთა“, მშვიდობის ამბორი, ნიკეის მრწამსი, ევქარისტიული კანონი, „მამაო ჩვენო“, კლირიკოსთა ზიარება, პურის განტეხა, 150-ე ფსალმუნი, ერისკაცთა ზიარება, სამკვეთლოზე ბარძიმ-ფეშხუმის გადასვენება, სამღვდელო კურთხევა, საგალობელი „იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ...“, ჩამოლოცვა და განტეხება.

მარკოზ მოციქულის მსახურების ცალკეულ ლიტურგიკულ პასაჟებად დასახელება განპირობებულია ალექსანდრიის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის ბიბლიოთეკიდან იმ დაკარგული ხელნაწერის კვალობაზე, რომელიც 1585-6 წლებში გადაწერა პატრიარქმა მელეტი პეგასმა, რომელშიც საკმაოდ დიდი იყო ბიზანტიური ლიტურგიის გავლენა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მარკოზის ლიტურგიის აღვლენა ალექსანდრიის ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაგმო ანტიოქიის პატრიარქმა და კანონისტმა თეოდორე ბალსამონმა. ამიტომაც ამ ადგილობრივ ტრადიციულ ლიტურგიას, სხვებისგან განსხვავებით, დიდი ცვლილებები არ განუცდია, არამედ თავისი პირვანდელი ფორმა შეინარჩუნა (Shaw, 1997). იგივე ხელნაწერი 1890 წელს გადაწერა წმ. ნექტარიოს პენტაპოლელმა, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოსცა და შენიშვნები დაურთო თესალონიკის უნივერსიტეტის პროფესორმა იოანე ფუნდულისმა 1970 წელს (იხ. Θεία Λειτουργία του Αποστόλου Μάρκου) და რომელიც მიჩნეულია ყველაზე სრულყოფილ წეს-განგებად.

წმიდა მარკოზის ჟამისწირვის ადრეული ბერძნულენოვანი ლიტურგიკული ფრაგმენტებია:

1) სტრასბურგის პაპირუსი, რომელიც თარიღდება IV-V საუკუნეებით და მოიცავს ევქარისტიული კანონის პირველ ნაწილს, რომელშიც მოიაზრება უპირატესი ღმრთისმსახურის მიერ წასაკითხი საიდუმლო ლოცვა საგალობლის „ღირს არს და მართალ“ პარალელურად. აღნიშნული ლოცვა მალაქიას წიგნის I თავის XI მუხლის პარაფრაზია („რამეთუ აღმოსავალთადათ მზისათადათ და ვიდრე დასავალთადად სახელი ჩემი დიდებულ არს წარმართთა შორის და ყოველსა ადგილსა საკუმეველი მოერთუმის სახელსა ჩემსა და მსხუერპლი წმიდა“); პაპირუსში ასევე მოცემულია ეკლესიის, ცოცხალთა და მიცვალებულთათვის გაძლიერებული ლოცვის რამდენიმე მცირე ფრაგმენტი, რომელიც სრულდება დოქსოლოგიით. სავარაუდოა, თუ რამდენადაა შესაძლებელი ამ გაძლიერებული ლოცვის მიკუთვნება წმიდა მარკოზ მახარებლის ლიტურგიის ნაწილად IV-V საუკუნეებში, მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი მას განიხილავს როგორც მარკოზის ჟამისწირვისგან გამოყოფილ სრულ ევქარისტიულ ლოცვას.

2) ჯონ რაილენდის პერგამენტი 465, რომელიც შესრულებულია VI საუკუნეში ბერძნულ ენაზე. მართალია, ტექსტი ცუდადაა შემონახული, მაგრამ მასში მაინც განირჩევა ძღვნის კურთხევისთვის სულიწმიდის მოხმობის სავედრებელი ლოცვა ევქარისტიული კანონის ბოლოს.

3) არსებობს სხვა უძველესი ტექსტებიც, რომლებიც ალექსანდრიული მსახურების ტრადიციას განეკუთვნება, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია სერაპიონის ევქოლოგიონი, ბარსელონასა და დეირ-ბალიზეჰის პაპირუსები.

4) Sinaiticus graecus 2148, ბერძნული ხელნაწერი სინას მთის წმ. ევატერინეს სახელობის მონასტრიდან, რომლის ტექსტი 1981 წელს გამოსცა პროფესორმა ბრაკმანმა.

5) ოთხი ახალადმოჩენილი ბერძნული ხელნაწერი სინას მთის კოლექციიდან: X214, E66 (ორივე მათგანი თარიღდება XII-XIII საუკუნეებით), E25, E42 (ეს ორი კი – XIV საუკუნით). ეს ოთხივე ხელნაწერი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ მათში უკვე მკაფიოადაა აღბეჭდილი წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიისთვის დამახასიათებელი პასაჟები, კერძოდ, საიდუმლო ლოცვები ანტიფონების, „რომელნი ქერუბიმთას“, მშვიდობის ამბორისა და ევქარისტიული კანონის დროს (Zheltov, 2014). აღნიშნული ტექსტები კარგად ასახავს ევკიპტეში მარკოზის ლიტურგიის ბიზანტიურ მსახურებასთან სინთეზს.

ცალკე უნდა გამოვყოთ Codex Kacmarcik, რომელიც მარკოზის ლიტურგიის ბერძნულ ტექსტთან ერთად არაბული თარგმანებსაც შეიცავს (coptic-treasures.com). იგი დაახლოებით 1344-1345 წლებით თარიღდება. აღნიშნული XIV საუკუნის ხელნაწერი შესრულებულია ევკიპტეში, წითელი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, წმიდა ანტონის

მონასტერში და შეიცავს ევქარისტიული კანონის ლოცვებს; პარალელურად, წმ. ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და მარკოზ მახარებლის კოპტურ წირვებს, ასევე ლოცვებს სნეულთათვის, გარდაცვლილთათვის და სხვადასხვა საჭიროებისათვის. ხელნაწერი თვალსაჩინოა იმ მხრივაც, რომ ბერძნული ტექსტი შესრულებულია კოპტური ანბანის გრაფიკული მოხაზულობის მიხედვით, რაც მის მხატვრულ გადაწყვეტასაც მეტად ღირებულს ქმნის.

რაც შეეხება მარკოზის წირვის სხვა არაბულენოვან ხელნაწერებს, მათგან უმთავრესია ე.წ. didaskalia (Ap. Const. II-viii), რომლის თარიღიც ჯერჯერობით უცნობია. მასში შემავალი ღმრთისმსახურების ტექსტი არის ეგვიპტური ლიტურგიის ერთგვარი სქემა, რომელიც თანამედროვე კოპტური მსახურებისთვისაა დამახასიათებელი.

აღნიშვნის ღირსია მახარებლის ჟამისწირვის უახლესი პუბლიკაციები, მათ შორის ის ელექტრონული რესურსები, სადაც არის რიგი მცდელობა თითქმის ყველა არაბული და კოპტური ხელნაწერების შეჯერებისა და მარკოზის ლიტურგიის სრული ტექსტის შედგენისა, არაბული, კოპტური და ინგლისური პარალელური თარგმანებით. ჩვენი დაკვირვებით, მსახურების ხსენებული შედგენილი ვერსიის გამორჩეულობა მდგომარეობს სულ მცირე იმაში, რომ ტექსტში წარმოდგენილია ტიპიკონური შენიშვნები, თუ როგორ უნდა აღსრულდეს მარკოზ მახარებლის ლიტურგია ეგვიპტის საზღვრებს გარეთ, ვინაიდან ალექსანდრიული ღმრთისმსახურება ტრადიციული ლოკალური აკოლუთიაა და მისი წეს-განგება მორგებულია ადგილობრივ ტერიტორიულ მასშტაბებსა და გარემო პირობებს (იხ. St-takla.org).

დასკვნა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

ა) წმიდა მარკოზ მახარებლის ანუ კირილე ალექსანდრიელის ლიტურგიის კოპტური, ლათინური და არაბული თარგმანების ამოსავალი მსახურების ის თავდაპირველი ბერძნული ორიგინალია, რომლის ავტორი თავად მოციქულთა თავის მოწაფეა;

ბ) ალექსანდრიული ღმრთისმსახურების ხელნაწერები შესრულებულია V-XIV საუკუნეებში;

გ) როგორც ლიტურგიის ფრაგმენტულ, ისე ტექსტის სრულ ვერსიებში საერთოა ევქარისტიული კანონის ლოცვები;

გამოყენებული ლიტერატურა

ახალი აღთქმამა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. (2009). თბილისი.

Brakmann, H. (1981). Zur Bedeutung des Sinaiticus Graecus 2148 für die Geschichte der melchitischen Markos-Liturgie. *JÖB.* 30, 239–248.

Brightman, F. E. (1896). *Liturgies Eastern and Western.* Vol. 1. Oxford, Clarendon Press.

Guirguis, G. (2002). The Divine Liturgy of St. Mark and the Origin of the Divine Liturgy. *Mighty Arrows Magazine.* http://www.suscopts.org/mightyarrows/vol2_no4/divineliturgy.pdf

St-Takla.org <https://st-takla.org/Lyrics-Spiritual-Songs/Words-of-Coptic-Alhan-Tasbeha-Kodas/Arabic-Coptic-Liturgy-Lyrics/Arab-Copts-Mass-Book-004-index-ElKodas-El-Kirollosy.html>

Khalil, S., Anaphora of St. Mark According to Kacmarick Codex, <https://coptic-treasures.com>

Renaudot. (1716). *Divina Liturgia Sancti Apostoli et Euangelistae Marci,* Parisiis;


Shaw, J., Archpriest. (1997). *Liturgy of St. Mark,* Russian Orthodox Church Outside Russia.

Takla, H. (2014). *Coptic Liturgy: Past, Present and Future,* <https://stjohnmiami.org/sites/default/files/book/81/coptic-liturgy-past-present-and-future-hany-n-takla.pdf>;

The Coptic Liturgy of Saint Mark the Apostle, commonly known as The Liturgy of St. Cyril, St. Mark's Coptic Orthodox Church, Jersey City, New Jersey, 1988, <http://www.saintmark.com>;
 Φουντούλης, I. M. (1970). *Θεία Λειτουργία του Αποστόλου Μάρκου*. Θεσσαλονίκη.
 Zheltov, M. (2014). *The Byzantine Manuscripts of the Liturgy of Mark in the Sinai New Finds*, Moscow, https://azbyka.ru/otechnik/Mihail_Zheltov/the-byzantine-manuscripts-of-the-liturgy-of-mark-in-the-sinai-new-finds

REFERENCES

- akhali aghtkumaᵱ uplisa chuenisa ieso krist'esi [New Testament of Our Lord Jesus Christ]*. (2009). Tbilisi.
- Brakmann, H. (1981). Zur Bedeutung des Sinaiticus Graecus 2148 für die Geschichte der melchitischen Markos-Liturgie. *JÖB*. 30, 239–248.
- Brightman, F. E. (1896). *Liturgies Eastern and Western*. Vol. 1. Oxford, Clarendon Press.
- Guirguis, G. (2002). The Divine Liturgy of St. Mark and the Origin of the Divine Liturgy. *Mighty Arrows Magazine*. http://www.suscopts.org/mightyarrows/vol2_no4/divineliturgy.pdf
 St-Takla.org <https://st-takla.org/Lyrics-Spiritual-Songs/Words-of-Coptic-Alhan-Tasbeha-Kodas/Arabic-Coptic-Liturgy-Lyrics/Arab-Copts-Mass-Book-004-index-ElKodas-El-Kirollosy.html>
- Khalil, S., Anaphora of St. Mark According to Kacmarick Codex, <https://coptic-treasures.com>
- Renaudot. (1716). *Divina Liturgia Sancti Apostoli et Euangelistae Marci*, Parisiis;
- Shaw, J., Archpriest. (1997). *Liturgy of St. Mark*, Russian Orthodox Church Outside Russia.
- Takla, H. (2014). *Coptic Liturgy: Past, Present and Future*, <https://stjohnmiami.org/sites/default/files/book/81/coptic-liturgy-past-present-and-future-hany-n-takla.pdf>;
- The Coptic Liturgy of Saint Mark the Apostle, commonly known as The Liturgy of St. Cyril, St. Mark's Coptic Orthodox Church, Jersey City, New Jersey, 1988, <http://www.saintmark.com>;
- Foyntούλης, I. M. (1970). *Θεία Λειτουργία του Αποστόλου Μάρκου [The Divine Liturgy of Apostle Mark]*. Thessaloniki.
- Zheltov, M. (2014). *The Byzantine Manuscripts of the Liturgy of Mark in the Sinai New Finds*, Moscow, https://azbyka.ru/otechnik/Mihail_Zheltov/the-byzantine-manuscripts-of-the-liturgy-of-mark-in-the-sinai-new-finds

მადლიერება. მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ჩემი ოჯახის წევრებს, მოძღვრებს, ყველა გულშემატკივარს, კოპტური ენის პედაგოგს, ლოს-ანჯელესის წმიდა ათანასესა და კირილეს სახელობის კოპტური ორთოდოქსალური კოლეჯის პედაგოგს, ბატონ ჰენი ტაკლას, და, რაც მთავარია, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც განხორციელდა აღნიშნულ სასწავლებელში ბოჰაირული დიალექტისა და წმიდა მარკოზის ლიტურგიის შემცველი კოპტური ხელნაწერების შესწავლა და წინამდებარე სტატიის მომზადება ( PHDF-23-8233).